

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „აგრიდა“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	----- 3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	----- 4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	----- 4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	----- 5-15

შპს "აგრიდა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2021
ამონაგები	6	3674472	1703179
თვითღირებულება	7	(3150524)	(1484438)
საერთო მოგება		523948	218741
სხვა შემოსავლები		160807	
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(698695)	(292778)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები			
სხვა ხარჯები	9		(12594)
საოპერაციო მოგება		(13940)	(86631)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	10	(300099)	(279671)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			(113163)
მოგება დაბეგვრამდე		(314039)	(479464)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(314039)	(479464)
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		(314039)	(479464)

შპს აგრიდა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასე ბის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	542906	-	858428	1880798
წმინდა მოგება	-	-	(479464)	(479464)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(479464)	(479464)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	542906	-	924923	1401334

დირექტორი გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა

შპს "აგრიდა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

		2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2765154	2784475
სულ გრძელვადიანი აქტივები		2765154	2784475
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	807640	109196
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	225548	227868
მარაგები	4	2501628	2371972
წინასწარ გადახდილი გადასახადები			56082
გაცემული სესხები			-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3534816	2765118
სულ აქტივები		6299970	5549594
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		542906	542906
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		858428	1337892
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		1401334	1880798
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	3159837	1915832
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3159837	1915832
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	1738799	1752964
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1738799	1752964
სულ ვალდებულებები		4898636	3668796
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6299970	5549594

დირექტორი გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა



შპს "აგრიდა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

		2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>3</u>	2765154	2784475
სულ გრძელვადიანი აქტივები			
		2765154	2784475
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>1</u>	807640	109196
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>2</u>	225548	227868
მარაგები	<u>4</u>	2501628	2371972
წინასწარ გადახდილი გადასახადები			56082
გაცემული სესხები			-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3534816	2765118
სულ აქტივები		6299970	5549594
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		542906	542906
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		858428	1337892
გადავასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		1401334	1880798
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	<u>11</u>	3159837	1915832
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3159837	1915832
სულ ვალდებულებები			-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>5</u>	1738799	1752964
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1738799	1752964
სულ ვალდებულებები		4898636	3668796
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6299970	5549594

დირექტორი გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა

შპს "აგრიდა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2021
ამონაგები	<u>6</u>	3674472	1703179
თვითღირებულება	<u>7</u>	(3150524)	(1484438)
საერთო მოგება		523948	218741
სხვა შემოსავლები		160807	
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>8</u>	(698695)	(292778)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები			(12594)
სხვა ხარჯები	<u>9</u>		
საოპერაციო მოგება		(13940)	(86631)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	<u>10</u>	(300099)	(279671)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			(113163)
მოგება დაბეგვრამდე		(314039)	(479464)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(314039)	(479464)
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		(314039)	(479464)

შპს აგრიდა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასე ბის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	542906	-	858428	1880798
წმინდა მოგება		-	(479464)	(479464)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(479464)	(479464)
გაცემული დივიდენდი	-			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		
2021 წლის 31 დეკემბერი	542906	-	924923	1401334

დირექტორი გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრიდა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 21 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბოლნისი საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 425361191. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბოლნისი, თამარ მეფის ქ., #99 კომპანიის ძირითად საქმიანობას 2017 წლის ბოლომდე წარმოადგენდა პესტიციდებით და შხამქიმიკატების იმპორტი რეალიზაცია. 2018 წელს კომპანიამ ააშენა ღვისი საწარმო კახეთში და ახორციელებს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მიღება გადამუშავებას. კომპანიის დამფუძნებელია გურამ მინდიაშვილი 100%-იანი წილით. დირექტორია გურამ მინდიაშვილი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოში დასაქმებული იყო 30(ოცდაათი)-ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2021 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2021 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადიაქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გა-
ცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგება ან ზარალად.

წლისბოლოსკონვერტაციაარეზებაარაფულადაქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციის თვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,504

ძირითადი სააღრიცხვ ოპოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული დაფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული დაფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრომოთხოვნებიდაგაცემულისესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებასპ როცენტი არ ერიცხება. იმშემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არარის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლი ვალიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

ძირითად საშუალებები

თავდაპირველი აღიარება დაშეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვაშემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობა	80 წელი
დანადგარები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებ.	10 წელი
კომპიუტერული და სხვა ელექტრო ტექნიკა	5 წელი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვაშემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ

აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, დაასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხისკ ორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაშია აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება ადარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსურ ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმპერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში პირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც

უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლოდავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსური ნფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები :	ნერგები :	მანქანა- დანადგარები :	შენობები	ოფისის აღჭურვილობა :	ელექტრო მოწყობილობები :	ქარხნის ინვენტარი :	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ლარში									
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	115049	29376	1334209	1323449	28546	40800	88689	171999	3132117
შესყიდვა		10725	6671	44480	4686		13494	126049	206105
გასვლა								103110	103110
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	115049	40101	1340880	1367929	33232	40800	102183	194938	3235112

დაგროვილი ცვეთა

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით			212134	38635	13795	14655	23356	45067	347642
ცვეთის ხარჯი			87060	16532	8108	6863	10026	27099	155689
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა								33372	33372
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	299194	55166	21904	21518	33382	38794	469958

საბალანსო ღირებულება

2020 წლის ბოლოს	115049	29376	1122075	1284815	14751	26145	65332	126932	2784475
2021 წლის ბოლოს	115049	40101	1041686	1312763	11328	19282	68800	156145	2765154

შენიშვნა-1 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31-Dec-20	31-Dec-21
ფული სალაროში	0	138
ფული საბანკო ანგარიშებზე	109196	807502
	109196	807640

შენიშვნა-2 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-Dec-20	31-Dec-21
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	283951	154237
		71311
		-
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	283951	225548

შენიშვნა-4 მარაგები

ლარში	31-Dec-20	31-Dec-21
მზა პროდუქცია	1802746	2249539
ნედლეული	71561	168628
დაუმთავრებელი წარმოება		

საქონელი	27465	31167
სხვა მარაგები	72222	52294
	1973995	2501628

შენიშვნა-5 **სავაჭრო და სხვა
მოკლევადიანი
ვალდებულებები**

ლარში	31-Dec-20	31-Dec-21
სავაჭრო ვალდებულებები:	1752964	1738799
გადასახელი ხელფასები:		
სხვა ვალდებულებები:		
	1752964	1738799

შენიშვნა-6 **ამონაგები**

ლარი	31-Dec-20	31-Dec-21
საქონლის რეალიზაცია	3674472	1703179
	3674472	1703179

შენიშვნა-7 **თვითღირებულება**

ლარი	31-Dec-20	31-Dec-21
პროდუქციის თვითღირებულება	3150523	1484438
	3150523	1484438

შენიშვნა-8 **ზოგადი და
ადმინისტრაციული
ხარჯი**

ლარი	31-Dec-20	31-Dec-21
------	------------------	------------------

შრომის ანაზღაურება	210986	98587
ცვეთა და ამორტიზაცია	66374	155689
საკონსულტაციო ხარჯი	868	2350
რემონტის ხარჯი	12289	
ბანკის მომსახურება	4749	5129
იჯარის ხარჯი		
სხვა ქარხნის ხარჯი	170010	11563
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	193932	19460
კომუნალური ხარჯები	39486	
	698694	292778

შენიშვნა-9 სხვა ხარჯები ლარი

სარეკლამო ხარჯი

31-დეკ-20	31-დეკ-21
	12594
	12594

შენიშვნა10 ფინანსური ხარჯი

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი
ფიზ.პირიდან- სესხის პროცენტი
ოვერდრაფტის პროცენტი
სხვა ფინანსური ხარჯები

31-Dec-20	31-Dec-21
268078	279671
32021	
300099	279671

შენიშვნა-11

სესხები

ლარი

ბანკის სესხები დოლარი

ბანკის სესხი ლარი

სულ სესხები

	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31-Dec-19	31-Dec-20	31-Dec-20	31.DEC.21
			1915832	1715299
				1444538
			1915832	3159837

ლარის სესხების დაფარვის ვადაა 2026 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13% .
დოლარის სესხების დაფარვის ვადაა 2026 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6%. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რაც შეეხება პერიოდის შემდგომ მოვლენებს 2021 წლის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია..

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

ლარის სესხების დაფარვის ვადაა 2026 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13% .
დოლარის სესხების დაფარვის ვადაა 2026 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6%. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რაც შეეხება პერიოდის შემდგომ მოვლენებს 2021 წლის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია..

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

